საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის

№ 139 შაბათი. 1918 წ. აგვისტოს 31. № 319

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

**სტამბოლის კონფერენცია გაიხსნა: რუსეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არა ვცნობთო.—რუს მოხალისეთა ჯარმა ნოვოროსიისკი აიღო.—დასავლეთის ფრონტზე გერმანელებმა გაანადგურეს 1400 ჯავშნოსანი ავტომობილი.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე"

**ღირს:** თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ღრმად დამწუხრებული ნინო დავითის ასული და ალექს ნდრე პავლეს ძე ნეიმანები შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, საყვარელ დის, ცოლის დის და დეიდის

ზინა დავით ბარნაბიშვილის ასულ რაბუტოვსკის

ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ორბელიანთ ქუჩა № 16. გამოსვენება კვირას, სექტემბრის 1-ს დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

გულდათუთქული დედ-მამა დეკანოზი დავითი და ქეთევან. დაი ევდოკია, ძმები მიხეილ და ვლადიმერ და რძალი მარიამ ბარნაბიშვილები, სიძე ვლადიმერ ბასილია და უდროოდ დაობლებულ პაწია კატო აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ

ზინა დავით ბარნაბიშვილის ასულ რაბუტოვსკის

ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ორბელიანთ ქუჩა № 16. გამოსვენება კვირას, სექტემბრის 1-ს დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე

კვირას ენკენისთვის 1-ს შუადღის 12 საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი ქალ კავკავში ტრაგიკულად გარდაცვალებულის

გიორგი პავლეს ძის დალაქიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი ნადეჟდა დალაქიშვილისა და ქალი მისი ელენე. 933

დავით გრიგოლის ძე და ეფემია გრიგორილის ასული გიორგიევები, ნინო გრიგოლის ასული უგრელიძე შვილებით და ელენე გრიგოლის ასული ბაირამაშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობართ და ნაცნობებს, რომ სექტემბრის 1-ლს ძმის

მიხეილ გიორგის ძის გიორგიევის

სულის მოსახსენებლად გარადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი კალოუბნის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე წირვის შემდეგ პანაშვიდი 924

მიხეილ სოლომონის ძე კასრაძე და მისი დები: მარიამ, დარეჯან და ეკატერინე, ძმისწულები: სოლომონ, ნინო და მართა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას სექტემბრის 1-ს გადახდილი იქნება წლის წირვა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და ნაშუადღევის 1 საათზე ძეგლის კურთხევა წმ. ნინოს სასაფლაოზე პირველის საყვარელი და დაუვიწყარის მეუღლისა, მეორეთა რძლისა, დანარჩენთა ძალუასი

ეკატერინე ალექსის ასული კასრაძისა. 926

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 15—60.



დღეს, აგვისტოს 31-ს გაიმართება

საგასტროლო წარმოდგენა

მონაწილეობენ ნიკოლინი, კამო, ბ. ელიზაროვი და სხვ.

**ანონსი:** ამ დღეებში გაიხსნება შემოდგომის სეზონი. მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი 917

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ

ენკენისთვის 15-ს ტფილისში მოხდება სოც.-ფედ. პარტიის დელეგატთა

## კონფერენცია

განსახილველი საკითხები: 1. მომენტი და ჩვენი ტაქტიკა. 2. აგრარული საკითხი. 3. მოხსენებანი ადგილებიდან. ყოველი 150 წევრი პარტიისა ირჩევს ერთს დელეგატს. სადაც ნაკლებ აღმოჩნდება—იქ 100 აირჩევს. მეზობელ მცირე ორგანიზაციებს შეუძლიანთ არჩევნებისათვის შეერთება.

**ჭიათურის** შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების საორგანიზაციო კომისია საყოველთაოდ აცხადებს, რომ მრეწველნი, რომელთაც სურთ ითვლებოდნენ საზოგადოების დამაარსებლად, ვალდებულნი არიან წარმოუდგინონ საორგანიზაციო კომისიას ჭიათურაში აწერილობა იმ ქონებისა, რომელიც სურთ შემოიტანონ საზოგადოებაში და ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას ჭიათურის ნოტარიუსთან **არა უგვიანეს ამ წლის სექტემბრის 1-ს (ახ. სტ.)** ამ რიცხვის შემდეგ დამაარსებელთა ხელის მოწერა აღარ მიიღება, ხოლო საზოგადოების დაარსების შემდეგ შეიძლება ახალი აქციონერების მიღება საზოგადო კრების თანხმობით. 1288

### ტფილისი, აგვისტოს 31

**სკოლის ორგანიზაცია.** რევოლიუციამ და განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ძირითადი ცვლილებები შეიტანა ქართულ სკოლის ორგანიზაციის როგორც სისტემაში ისე საპედაგოგიო პრინციპებში. საუკუნოების განმავლობაში შებოჭილი ეროვნული სული და ეროვნული აღზრდა დღეს განთავისუფლდა, საქართველოს სკოლა ქართულ ცხოვრების პრინციპებს დაეყრდნო და ნაციონალიზაციის დიადი აზრი დაუკავშირა დემოკრატიზმის საფუძვლებს.

რამდენადმე დასრულებულად შეიძლება ჩავთვალოთ ქართულ სკოლის სქემა, ფორმა. ამიერიდან საჭიროა მხოლოდ განვახორციელოთ, ცხოვრებაში გავატაროთ და მოუპოვოთ მოქალაქობრივი უფლება კანონ-პროექტებში ჩაქსოვილ ახალ სკოლის სალ პრინციპებს. მხოლოდ მაშინ, როცა ახალი ტიპის სკოლა შეიქმნება ე. ი. გატარდება ცხოვრებაში საფუძველნი ქართული სკოლისა, მხოლოდ მაშინ შეიძლება მოვისვენოთ და ვსთქვათ—ამიერიდან ადვილი არ იქნება ქართული სკოლის გადაგვარება და მოსპობა.

ამნაირად, ქართული სკოლის ორგანიზაცია ჯერ კიდევ გარდამავალ ხანაში იმყოფება. ძველს წყობილებას მოვშორდით, მაგრამ ახალი ჯერ კიდევ არ მიგვიღია; სწორედ ამიტომ არის დღეს საქართველოს მტრები და ამათ გავლენის ქვეშ მყოფი ი'ეთი საზოგადოებრივი ელემენტები, რომელთაც ეროვნული პრინციპი მხოლოდ ყელზევით აქვთ მიღებული ცდილობენ და ეცდებიან მომავალშიაც სიმახინჯის მომენტი შეიტანონ სკოლის საქმეში და განათლების სამინისტროს გზა კვალი აუბნიონ, იგი ააცდინონ იმ პოლიტიკას, რომელიც ერთად ერთი სახელმწიფოებრივი პოლიტიკაა სალ პედაგოგიზმით გაჟღენთილი.

ყველამ ძალიან კარგად იცის და იცნობს ეხლანდელ განათლების სამინისტროს. გიორგი ლასხიშვილის უწყებამ მკაფიოდ, ყოველ გზა ხვეულების გარეშე ქართულ სახელმწიფოში საფუძველი ჩაუყარა ქართულ დაბალს, საშუალო და უმაღლეს სკოლას. გარკვეულ პრინციპი ნაციონალიზაციისა კულტურულ ფორმებში ჩამოასხა და განახლებული სასკოლო კულტურის გარშემო შემოკრიბა საქართველოს პედაგოგიური ძალები. რასაკვირველია ამ მხრივ, ე. ი. პედაგოგიურ ძალთა თავის მოყრის მხრივ ჯერ კიდევ არ თქმულა უკანასკნელი სიტყვა და პირველ სულის მოთქმისთანავე განათლების სამინისტროში გამოჩნდებიან ის ცოცხალ საპედაგოგიო ძალები, რომელნიც ნებსით თუ უნებლიეთ ჯერ კიდევ არ არიან სამინისტროს მუშაობაში ჩათრეულნი. მაგრამ სამინისტროს მისწრაფება მაინც გამორკვეულია და აშკარა: პედაგოგიურ სფეროში მოახდინოს პედაგოგების მობილიზაცია და ამ გზით ქართულ სკოლის განახლების, ნაციონალიზაციის ხანაში თავიდან აიცილოს კრიზისი მასწავლებელთა და ორგანიზატორთა სიმცირის მხრივ.

სწორედ ამიტომ, სამოსწავლო უწყება დღეს-დღეობით ქართულ სკოლას ერთგვარ ცენტრალიზმის ნიადაგზე აყენებს, რომელსაც მხოლოდ პედაგოგები ასულდგმულებენ. რასაკვირველია ეს არ არის ბიუროკრატიზმი, თაოსნობის ჩახშობა და სხვა. არის მომენტი როცა ძალთა დაქსაქსვა შეუწყნარებელია და სწორედ იმ მოსაზრებით, რისთვისაც დღეს საქართველოში პოლიტიკურ დეცენტრალიზმე არ შეიძლება ლაპარაკი, ისევე უაზროა სკოლის დეცენტრალიზაციაზე ლაპარაკი ეს შეუძლებელია მით უფრო, რომ ამ ჟამად სრულიად არ მოიპოვებიან ისეთი ორგანოები, რომელნიც შესძლებდნენ სკოლის სათავეში ჩადგომას და მის საქმეების ღირსეულად წარმოებას. თვითმართველობათა რეორგანიზაციაც არ მომხდარა ჯერ, ერობა არ არის შემოღებული და რომც ყოველივე ეს საქმე გაკეთებული იყოს, ამისათვის საჭიროა ამ ორგანოთა ფიზიონომიის გამორკვევა, მისი მატერიალური და ინტელიგენტური ავლადიდების გაცნობა, რომ ისეთი დიდი საქმის, როგორც არის სკოლის საქმე, გაძღოლა მივანდოთ.

ამ ჟამად ნაბიჯის გადადგმა სხვა მხრივაც არ შეიძლება. დააკვირდით დღევანდელ ტფილისს ან სოხუმს სკოლის მეხვეურობა და თქვენ მიიღებთ ნაციონალიზაცი ს ნიადაგზე ისეთ აყალ-მაყალს, რომელიც ძირს გაუთხრის ჩვენს სახელმწიფოებრივ არსებობას. ამ ანტიპედაგოგიურ და მახინჯ პედაგოგიურ პოლიტიკას ვერც ერთი დემოკრატი ვერ გაიზიარებს და ამიტომ ის უნდა მივიღოთ, რაც დღეს არის შექმნილი.

## ჩვენი პოზიცია

2.

საქართველოს პირველი მთავრობის მიზანი იყო: 1) ზავის ჩამოგდება; 2) ანარქიის ჩაქრობა და რესპუბლიკის განმტკიცება; 3) სოციალურ რეფორმათა განხორციელება და 4) დამფუძნებელი კრების მოწვევა. სოციალ-დემოკრატიის წარსულზე ლაპარაკი დღეს უადგილოა. ყველამ ვიცით, რომ ეროვნულ საკითხში წინად ისინი დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგნენ და სასტიკად გვებრძოდნენ: ეხლა გარემოება შეიცვალა და ისტორიულმა მსვლელობამ ორი მოწინააღმდეგე პარტია ერთად შეგვყარა. ზემოხსენებული პროგრამა მთავრობისა ამასთანავე ჩვენი, სოციალისტური პარტიების მიზანიცაა. ჩვენ მას მხარს უჭერთ და სისხლითაც ვიცავთ, რადგან არა გვგონია გამოჩნდეს ვინმე ისეთი, ვინც გაჰბედოს და სთქვას ეს მიზნები ჩვენს პროგრამას და იდეალებს ეწინააღმდეგებაო, განა საქართველოს თავისუფლება და სოციალურ რეფორმათა განხორციელება მარადიული ჩვენი სურვილი არ იყო? და მთავრობის, მპყრობელი პარტიის გეზიც სწორედ აქეთკენ არის მიმართული. დღეს სოციალ-დემოკრატია გულწრფელად იცავს საქართველოს რესპუბლიკას და ზიდავს მძიმე ტვირთს სახელმწიფოებრიობის აშენებისას, იგი არამც თუ პარლამენტში, ბრძოლის ველზე, სისხლითაც ამტკიცებს თავის გულწრფელობას. ჩვენი და მათი ამხანაგები დღეს საქართველოს დასაღუპავად წამოჭრილ ანარქიასთან ბრძოლაში მხარ და მხარ მიდიან და თავგანწირულად ეკვეთებიან ირგვლივ შემორტყმულ მტერთა ხროვას და ნუ თუ ამ დროს ჩვენ შეგვიძლიან მათ გამოვეთიშოთ? ნუ თუ ეს არ იქნება გამოთიშვა საერთო საქმისაგან და ღალატი ჩვენი იდეალებისა? ჩვენ დღესაც იმ პოზიციაზე ვდგევართ, სადაც ვიდექით მთელი ჩვიდმეტ წლის განმავლობაში. სოციალ-დემოკრატია აქამდე სხვა გზით მიდიოდა. **ეხლა იგი იმავე გზაზეა, რომელიც ჩვენგან ერთნაირად განათელია.** და ნუ თუ ჩვენს ნაცადს გზას უნდა გადავუხვიოთ იმიტომ, რომ მოკავშირე მოგვემატა და ხალხის უმრავლესობა ნაჩვენებ გზას დაადგა? ეს ხომ პოლიტიკა არაა. ეს უბრალო ჯიბრი და პოლიტიკანობა იქნება სხვა არაფერი. რად გვავიწყდება სიბრძნე: ვინცა მეგობარს არ ეძებს, იგი თავისა მტერია. არა მარტო თავისა, მთლად საქართველოსი—ვიტყვით ჩვენ. ერის ფიზიკურად გადარჩენისათვის ჩვენ, სოციალისტებმა—იმპერიალისტურ გერმანიას გაუწოდეთ ხელი. აქ კი, შინაურობაში სოციალისტებთან კავშირი დასაძრახისი უნდა იყვეს? ვინც ამას იტყვის, ალბად ნათლად არ აქვს გათვალისწინებული საქართველოს დღევანდელი განწირული მდგომარეობა და სირთულე მომენტისა.

მაგრამ შეიძლება სთქვან: პროგრამა მთავრობისა კარგია, ასრულება არ ვარგაო. შეიძლება ეს მართალი იყოს. შეიძლება ჩვენი მთავრობა მრავალ შემცდარ ნაბიჯს სდგამდეს და ბევრს ვერ აკეთებდეს, მაგრამ განა ეხლა ჟინიანი კრიტიკანობის, ოპოზიციისა? საუკეთესო ძალები დემოკრატიისა დღეს მთავრობაშია დაბანდებული. და თუ ისინი ვერაფერს აწყობენ—ეს შედეგია საერთოდ ჩვენი სისუსტის, გამოუცდელობისა. ან კი სად, როდის უნდა გვესწავლა სახელმწიფოებრივი შემოქმედება. ნიკოლოზების და ვარანცოვების დროს? ჩვენ ახლად ფეხადგმულს ვგევართ, ტაატით რომ დადის და ვერც ფეხზე სდგას მაგრად. ჩვენი მთავრობის სისუსტე—საქართველოს სისუსტეა. ვინც მას დასცინის და კბილთა ღრჭენით იხსენიებს—იგი თავის თავს, საქართველოს დასცინის და ილრიჯება. ყოველი გულწრფელი მამულიშვილის ვალია—მთელი თავის ძალ-ღონით დაეხმაროს საქართველოს სოციალისტურს მთავრობას. ვინაიდან ყოველი ისარი, მთავრობის წინააღმდეგ ბოროტად გადმოსროლილი—ჰკოდავს და ჰკვეთავს სამშობლოს გულს და რესპუბლიკის ტახტს არყევს. ამისთანა პირობებში, ჩვენ, როგორც პარტიას, გვმართებს მხოლოდ დახმარება, ყოველი ძალღონით განმტკიცება მისი პრესტიჟისა. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, გულზე ხელის დაკრეფას და პასიობას. ჩვენ უფლება გვაქვს, მოვალეობაც მთავრობას ყოველგვარი შეცდომა მიუთითოთ და ობიექტიური კრიტიკა ვაწარმოოთ. ასეც ჰხდება. არც ერთი შეცდომა მთავრობისა ჩვენ არ დაგვიფარავს და **არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ გადაწყვეტილა უჩვენოდ.** ხოლო ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი თანხმობა, ჩვენი სოლიდარული მოქმედება—მუდამ ჟამს არ გასცილებია იმ იდეალების ფარგლებს, თავიდანვე რომ დავისახეთ და რასაც თავგამოდებით გვიქადაგებდა ჩვენი მოძღვარი არჩილ ჯორჯაძე. ნუ თუ ვინმე იტყვის, დღეს რომ იგი ცოცხალი ყოფილიყო—წინააღმდეგი იქნებოდა პარტიის ეხლანდელი გეზისა და მარადის „შეთანხმების იმედის" მატარებელი ამ განწირულების დროს შესცვლიდა აზრს? არა, ვიმეორებთ, ჩვენ ისევ ნაცადს გზაზე ვდგევართ და მივისწრაფვით შეთანხმებულად საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცებისათვის, რაიცა აუცილებელი პირობაა მუშა ხალხის სოციალურ ცხოვრების მოსაგვარებლად და გარდასაქმნელად. ვერც ერთი ადამიანი ვერ დაასახელებს სულ უბრალო მაგალითსაც კი, **სადაც ჩვენს პარტიას პრინციპების მხრივ რამე დაეთმოს** არსებულ შეთანხმებისათვის. ერთად სვლა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მაგრამ არც ერთი პრინციპია-

ლური დათმობა—აი ჩვენი მოქმედების დედა აზრი. ხოლო ჩვენი მიზანი არასოდეს ყოფილა და არც იქნება მარტოოდენ რომელსამე პარტიასთან ბრძოლა. ზოგს კი პრიმიტიულად წარმოუდგენია: რომელსამე პარტიას არ ვებრძვით, მაშასადამე არაფერს ვაკეთებთო.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ საკითხს და გავსინჯოთ· შესრულა თუ არა მთავრობამ და ჩვენმა მოკავშირე ხელმძღვანელმა პარტიამ ის პროგრამა, ამ წერილის თავში რომ მოვიხსენიეთ?

ქ. რაჭველიშვილი.

# მთავრობაში

**საქართველოს რესპუბლიკის ოლქის სასამართლოების თავმჯდომარეებს.**

იუსტიციის სამინისტროს ცნობებიდანა სჩანს, რომ სასამართლოს ბოქაულებს, როდესაც ისინი ასრულებენ სასამართლოების ძალაში შესულს გადაწყვეტილებას და მილიციას მიჰმართავენ დასახმარებლად, ზოგიერთს შემთხვევაში საჭირო დახმარებას არ უწევენ იმის გამო, რომ საქმეში ერევიან სარევოლიუციო დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომელნიც ითხოვენ აღმასრულებელ მოქმედებათა შეჩერებას, და ამგვარად ხსენებული სასამართლოს გარდაწყვეტილებანი დიდხანსა რჩებოდა და ზოგიერთი აქამდისაც აუსრულებლად არის დარჩენილი.

ასეთი მოვლენა ყოვლად შეუწყნარებელია და მერმისში სრულიად უნდა აცილებულ და მოსპობილ იქმნას. ამის გამო მივმართე რა ამასთანავე შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მან განუმარტოს ხსენებულ სამინისტროს დაწესებულებათ, რომ ისინი მოვალენი არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სასამართლოს ბოქაულების კანონიერ მოთხოვნილებას, როდესაც ისინი სასამართლოების კანონიერს ძალაში შესულს გარდაწყვეტილებას ასრულებენ, გთხოვთ წინადადება მისცეთ თქვენდარწმუნებულ ოლქის სასამართლოს ყველა სასამართლოს ბოქაულს, რომ დაუყონებლივ ხელახლად შეუდგნენ იმ სასამართლოს გარდაწყვეტილებათა აღსრულებას, რომელიც შეჩერებულია ზემოდ დასახელებულ სარევოლიუციო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ჩარევის გამო, და ამიერიდგანაც სასამართლოს გარდაწყვეტილებათა ასრულება აღარ დააყოვნონ.

თუ ვინმე გარეშე ჩაერია სასამართლოს ბოქაულის მოქმედებაში, კერძო პირი იქნება იგი დაწესებულება, თუ რომელიმე ორგანიზაცია, ან თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელსავე დაწესებულებამ, ან მოხელემ უარი განუცხადა სასამართლოს ბოქაულს და იმის კანონიერს მოთხოვნილებას დახმარება არ აღმოუჩინა, სასამართლოს ბოქაული ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ყოველ დაბრკოლების შესახებ საბრალმდებლო ნაწილს ჯეროვან განკარგულებისათვის ბრალდებულთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

ამასთანავე გთხოვთ განუმარტოთ სასამართლოს ბოქაულებს, რომ თუ დაემორჩილნენ გარეშე პირთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უკანონო მოთხოვნილებას და ან სხვაფრივ რითიმე დაარღვიეს ეს ჩემი განკარგულება, დამნაშავეთ სასტიკი კანონიერი პასუხი მოეკითხებათ.

ამასთანავე გთხოვთ მაუწყოთ, რა განკარგულებაც იქნება თქვენ მიერ მოხდენილი.

იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი.

კანცელარიის დირექტორის მაგიერ გ. ჟორდანია.

—

განათლების მინისტრს ეროვნულ საბჭოში განსახილველად შეაქვს კანონპროექტი, რომლის ძალითაც სახალხო განათლების უწყების ყველა ის მოსამსახურე პირნი, რომელთაც დასავლეთ ევროპაში სწავლა დაასრულეს, უფლებრივად გათანასწორებულ იქმნენ რუსეთის უმაღლეს სწავლა დასრულებულებთან.

—

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო ქუთაისიდან საგუბერნიო კომისარ გრიგოლიასაგან: „გთხოვთ მაცნობოთ, მიიღო თუ არა ეროვნულ საბჭომ კანონი საგანგებო სასამართლოების შესახებ. საჭიროა ნატანების თავდასხმის საქმის განხილვა სასწრაფოდ. არიან სხვა პატიმრებიც, რომელთაც სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება ბრალდებათ და მათი საქმის დროთი განხილვაც საჭიროა გუბერნიაში წესიერების დროზე აღსადგენად. ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს ჯერ არავითარი ცნობა არ მიუღია ამის შესახებ.

—

ქ. დუშეთის მეციხოვნეთა უფროსი გრიგოლია შემდეგს აცნობებს შინაგან საქმეთა მინისტრს: თანახმად რაზმის უფროსის გენერალ კონიაშვილის ბრძანებისა, ლტოლვილების გაშვების შესახებ ვუბრძანებ ჩემდამი რწმუნებულ გარნიზონის სახელმწიფო ყველა დაწესებულებებს, არ გამოუშვან ტფილისიდან დუშეთში საქართველოს სამხედრო გზით არც ერთი ლტოლვილი განკარგულების მოხდენამდე.

—

შინაგან საქმეთა მინისტრმა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის კომისრებს და ტფ. მილიციის უფროსს დაუგზავნა საყოველთაო ბრძანება შესახებ იმ ჩარჩვაჭრებისა, დაწესებულებათა წარმომადგენლების და აგრეთვე კერძო მცხოვრებთა, რომელნიც ხელს უშლიან სასურსათო სამინისტროს რწმუნებულებს სურსათ-სანოვაგის საკითხის მოწესრიგება.

# უკანასკნელი ცნობები

**სტამბოლის კონფერენცია**

სტამბოლის კონფერენცია გაიხსნა. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებმა კონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ იგინი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას არ იცნობენ.

**ნოვოროსიისკის აღება.**

გერმანიის მისიას რადიოთი ატყობინებენ, რომ რუს მოხალისეთა ჯარმა ნოვოროსიისკი აიღო.

**დასავლეთის ფრონტი**

გერმანიის მისიის ცნობით ფრანგების შეტევის დროს გერმანელებმა გაანადგურეს 1400 ჯავშნოსანი ავტომობილები.

**ბაქო**

გერმანიის მისიაში ცნობაა, რომ ოსმალოებს არ უნდათ ბაქო აიღონ შეტევით, რადგანაც ეს დიდ მსხვერპლს მოითხოვს და ამიტომ გადაწყვეტილი აქვთ ქალაქს ყუმბარები დაუშინონ და აიძულონ დანებდნენ.

**ყაზხეთი**

გერმანიის მისიას ცნობა აქვს, რომ ყაზახები ემზადებიან ხელ-ახლა დაიწყონ შეტევა ყაზხეთზე.

# ომის ველებზე

**დასავლეთის ფრონტი**

**ბერლინი.** 8—29. კრონპრინც რუპრეხტისა და ბონის ლაშქარი. არრასის სამხრეთ-აღმოსავლეთით დილით ადრე ინგლისელებმა იერიში მოიტანეს სკარპის სამხრეთით; ჩვენ იგი მოვიგერიეთ ცეცხლის საშუალებით. შუადღეზე მტერმა განაახლა თავის ცდა ფრონტის გარღვევისა. სკარპსა და ზეხზეებს შუა მტერმა ხუთჯერ მოიტანა იერიში. პომერანელებმა და დასავლეთ პრუსიელებმა მტრის იერიშები შეაჩერეს. ბრძოლის ცენტრი იყო ბუარი-ნოტრ-დამი. ამ ღამის სანგრევები სამჯერ გადავიდა ხელიდან ხელში, საღამოს მტერმა იერიში მოიტანა და ეს დაბა ხელთ იგდო. მტერმა 7-ჯერ მოიტანა იერიში არრას-კამბრეს გზატკეცილის ორივე მხრით: წინ ჯავშნოსნები მოდიოდა, მათ მოსდევდა ქვეითა ჯარი. მათ ჩვენებმა ტყვიის-მფრქვეველები დაუშინეს და გარეკეს. კრუაზილის სამხრეთით და მორის სამხრეთ-აღმოსავლეთით ინგლისელთა იერიშები მოვიგერიეთ. ბაპომის ქვეითა ჯარების ბრძოლა არ არის. ინგლისელებმა ეს ქალაქი ცეცხლში გახვიეს. აგვისტოს 27-სა და 28-ს ბრძოლაში თავი ისახელეს ძე-206 პოლკმა. მისი მე-9 როტა ქალაქის დასავლეთ ნაწილს იცავდა მიუხედავად იმისა, რომ მას მტერი ზურგით ემუქრებოდა; უკანასკნელ ტყვიამდე იბრძოდა და შემდეგ ხელჩართული ბრძოლა გაჩაღა. სომის ჩრდილოეთით მტერმა განაახლა თავისი იერიშები ფლერსა და კურლიუს შუა. გარდეკურტთან მტერი ჩვენს ხაზებში შემოიჭრა. იგი უკუაქცია იმპერატორი ფრანცის გრენადერთა მე-2 პოლკმა, ჰესენელების დახმარებით. სომასა და უაზას შუა ჩვენი ავანგარდები ჩვენი ახალი ხაზების წინ ებრძვიან მტერს, რომელიც აგვისტოს 27-ს ნელინელ, ხოლო გუშინ უფრო ენერგიულად მიიწევს დამიერ-ზელუა-ნესლ-ბოლიეგსიუზუას ხაზის იქით. ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა იერიშები გააჩაღეს მტერთან. დიდი ზარალი მიაყენს მათ და უკან დაიხიეს. ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა ძლიერი საარტილერიო მზადების შემდეგ იერიში მოიტანა. ჩვენ ძველ პოზიციებზე, რომელიც ჩვენ უკვე აღარ გვეჭირა. ნუაიონი ფრანგებმა ცეცხლში გაახვია. ქალაქი ჩვენი ფრონტის წინ მდებარეობს. ენის ჩრდილოეთით ფრანგებმა ამერიკელები მოიშველიეს და იერიში განაახლეს. პასიკოპფთან კავალერიამ მტრის 5 იერიში მოიგერია; მრავალი ჯავშნოსანი დახვრიტა.

**პარიზი,** 8—29. ფრანგების ჯარმა აიღო კვესნეტის ტყე კიულისა და ბოტინის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ფრანგებმა აიღეს ნუაიონი და წინსვლას განაგრძობენ. ფრანგებმა დაატყვევეს რამდენიმე ასი გერმანელი.

**იტალიის ფრონტი**

**ვენა** 8—29. იუდიკაფიენში, ბეზეკთან მზვერავთა შეტაკებაა. ალბანიის ფრონტზე ურიკსა და ფოიუზს შუა და აგრეთვე ტომორის მტების სამხრეთ ნაწილში მტერმა ახალი პოზიციები დაიკავა.

**პალესტინის ფრონტი**

**სტამბოლი** 8—29. ჩვენი მარჯვენა ფრთით ბრწყინვალე იერიშები მივიტანეთ მტრის ხაზებზე. ამის გამო მტერმა გააძლიერა თავისი საარტილერიო მოქმედება იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირით ძლიერი ცეცხლაა. ჩვენ შევაჩერეთ აჯანყებულთა იერიში, რომელიც მათ გეჯასის გზაზე მოიტანეს ბირ-ხერმასთან. აგვისტოს 27-ს ღამით მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს სტამბოლზე: ჩვენების ცეცხლმა აიძულა იგინი სტამბოლის მახლობლად დაშვებულიყვნენ. ჰაეროპლანი დაიწვა; დავატყვევეთ დაჭრილი მფრინავი, ინგლისელი კაპიტანი.

# უცხოეთი

**მოსკოვი** 8—29. ც. ალმ. კომ ბიულეტენი. არხანგელსკში ფრანგ-ინგლისელებმა თავისუფალი ვაჭრობა გამოაცხადეს, ამან საზღაპროდ ასწია ფასები პირველ საჭიროების საგნებზე. უმწეო მდგომარეობაში არიან მუშები, რომელნიც უმუშევრად დარჩნენ. სალიკვიდაციო მათ მხოლოდ 20 პროც. მისცენ იმისა, რაც ერგებოდათ.

ფრანგ-ინგლისელთა ძალები 5000 კაცს აღემატება (ამ რიცხვში შედიან რუსი მოხალისენიც). მოკავშირეები დიდი სიფრთხილით ხარჯავენ თავის ძალებს. მეტ წილად რუსი მოხალისენი იხოცებიან. ეს ყველა მოხალისემ შეამჩნია და მათში დიდი უკმაყოფილებაც არის.

ც. ალმ. კომიტეტის დეკრეტით გაუქმებულია რესპუბლიკის ყველა ქალაქში ბინაზე კერძო საკუთრების უფლება.

ჩრდილოეთ დვინზე ვიმარჯვებთ. ჩვენ ავიღეთ სად. ტუგანსკაია.

შენკურისა და ხოლმოგორის მაზრებში თეთრ გვარდიელების მიერ გამოცხადებული მობილიზაცია დიდს უკმაყოფილებას იწვევს მცხოვრებლებში.

# პასუხად ბ. ქართველ ოფიცერს

ძალიან სასიამოვნოა, რომ ბ-ნი ქართველი ოფიცერი გამომესაუბრა და ამით საშუალება მომეცა ერთხელ კიდევ დავუბრუნდე საკითხს, რომელიც წინა ჩემს წერილში მხოლოდ გაკვრით მქონდა აღნიშნული. საჭიროდაც მიმაჩნია ამ საკითხზე შეჩერება, რადგანაც ოფიცერთა დიდს წრეში დღესაც სრული გაუგებრობაა გამეფებული შექმნილი პოლიტიკური სიტუაციისა და ძალიან ხშირად გაუგებრობასთან ერთად წინად განზრახულ უნდობლობასთანაცა გვაქვს საქმე. თავის თავად ცხადია და ბ-ნი ქართველი ოფიცერიც დამეთანხმება, რომ სიზოგადოდ, პრინციპიალური მსჯელობის დროს გამონაკლისზე არ შეიძლება ლაპარაკი ავი და კარგი ყველგან შეიძლება იყოს. ამიტომ კერძოდ არავინ უნდა იყოს შეურაცყოფილი იმით, რომ ჩვენი მსჯელობის დროს სუსტსა და უარყოფითს მხარეებსაც აღვნიშნავთ.

ერთი პატარა წინასიტყვაობაც. მე ოფიცერი არ გახლავართ, მაგრამ ოფიცერთა წრეში კი კარგა ხანია ვტრიალებ. ვიცნობ ძველი დროის ოფიცრობას, ვიცნობდი ოფიცრობას ფრონტზე როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგ და ეხლაც, ჯარის რეორგანიზაციის დროს, მხედველობიდან არ მეპარება არც ერთი სულიერი გრეხილი ქართველი ოფიცრებისა. ძალიან კარგადა ვხედავ მათს კარგს მსახურებასაცა და ცუდსაც. მე ვიცნობ როგორც ისეთს ოფიცრებს, რომლებიც გაჭირვების დროს ზურგით ზიდავდნენ ყველაფერს და ხშირად უბრალო ჯარისკაცებად გადაცმულნი იცავდნენ ჩვენს ქვეყანას გარეშე მტრის შემოსევისაგან; მაგრამ ვხედავდი ისეთს ოფიცრებსაც, რომელნიც სახაზინო ქონების გაქურდვას არ ერიდებოდნენ.

რასაკვირველია ჩვენ ასეთ გამონაკლისს შემთხვევებზე არ უნდა გვქონდეს ლაპარაკი. ამიტომ, როდესაც ჩემი წერილის საპასუხოდ ბ-ნი ქართველ ოფიცერს გულ-აჩუყებულად ქართველ ოფიცერთა თავგანწირულება მოჰყავს მაგალითად, ეს სრულიად მეტად უნდა ჩაითვალოს. ბრმა არც მე ვარ და არც სხვები არიან, რომ რაც კარგია, ცუდად მოვნათლოთ და კალმის ერთი მოსმით ოფიცრობა გავათახსიროთ: ამისთანა როლი მე არ მიკისრია და არც მომავალში ვიკისრებ.

ბ-ნ ქართველ ოფიცერს ჩემი წერილის ერთი ადგილისთვის მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება და მეც ამაზე შევჩერდები ცოტა ხანს, რადგანაც მთავარ საკითხად სწორედ ეს მიმაჩნია. მე ვწერდი, ოფიცრობა უნდა გაიცხრილოს და ჯარში დარჩეს ისეთი, რომელსაც შეუძლიან ახალ დემოკრატიულ წყობილებას შეეგუოს. ეს საანბანო ჭეშმარიტება ბ. ქართველ ოფიცერს სადავოდ გაჰხდომია. მას ჰგონია, რომ გაცხრილვის კრიტერიუმად მხოლოდ სპეციალისტობა უნდა ჩაითვალოს. ჩვენ, რასაკვირველია, იმდენად გულ-უბრყვილონი არა ვართ, რომ სპეციალისტების განდევნა მოვითხოვოთ. არც პარტიული საზომით გვინდა გავზომოთ ოფიცერის ვინაობა. მაგრამ ერთი კი აუცილებლად მოეთხოვება ოფიცერს: მას უნდა ჰქონდეს უნარი დემოკრატიული წეს-წყობილების შეგუებისა. ეს საკითხი ბ-ნ ქართველ ოფიცერს დისციპლინის წესდების საკითხად გადაუქცევია. მაგრამ მე უფრო ფართოდ ვუცქერი ამ საქმეს. ძველი წესდებაც არ უკრძალავდა ოფიცერს, რომ მას „მამაშვილური“ დამოკიდებულება ჰქონოდა ჯარის კაცთან. მაგრამ მთელი სტრუქტურა ძველი ჯარისა გაჟღენთილი იყო ჯარის კაცის ადამიანური ღირსების სრულის უარისყოფით. დისციპლინას კი არაფერი საერთო არა აქვს ადამიანური ღირსების უარჰყოფასთან. ჩვენ შეიძლება უსასტიკესი სასჯელი შემოვიღოთ ყველა იმისთვის, ვინც დისციპლინას არღვევს და კანონიერების წინააღმდეგ მოქმედებს. დემოკრატიული შეგნება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება სასჯელის სისასტიკეს. მაგრამ სასჯელის სისასტიკეს არაფერი საერთო არა აქვს ჯარის კაცის ადამიანური ღირსების უარყოფასთან. ამ მხრით კი ქართველ ოფიცრობას აუცილებლად აღზრდა სჭირია. თუ ქართველი ოფიცრობა თითონ არ აღიზარდა, იგი ვერც ჯარის კაცს აღზრდის. ჩვენთვის კი უკვე ყაზარმა რამდენადაც კი შესაძლებელია აღმზრდელ დაწესებულებად უნდა გადაიქცეს.

მე ვერ წარმომიდგენია ახალგაზდა კაცი რად უნდა გაექცეს სამხედრო ბეგრის მოხდას? ეს ის არაკია, როდესაც ყმაწვილ კაცს ახალისებს, როგორც გიმნასტიკა, ისე საერთოდ სამხედრო ვარჯიშობა. თუ რიგიანი და ადამიანური პირობები შევქმენით ყაზარმული ცხოვრებისა, ახალგაზდა კაცს მშვენიერი მოგონება უნდა გაჰყვეს ამ ცხოვრებისა. მაგრამ თუ ყაზარმა სატუსაღოდ გადავაქციეთ; თუ ოფიცრობა ჯარის კაცებს არ დაუნათესავდა, ვერავითარ შემთხვევაში რესპუბლიკისთვის სასარგებლო ჯარს ვერ შევქმნით. ჩვენში კი ჯერ კიდევ ბევრი არის ისეთი ოფიცერი, რომელშიაც ძველებური რეჟიმის სული მაგრობდა ზის და ჯარის კაცის ცხოვრების გაზიარება და მასთან დაახლოვება დისციპლინის დარღვევად მიაჩნია.

აი ესა მქონდა მხედველობაში, როდესაც „შეგუებაზე“ ვსწერდი.

ჩემს წერილში სხვათა შორის აღვნიშნე, ხშირად თვით ოფიცრებიც არღვევენ მეთქი დისციპლინას. ეს ძალიან გაჰკვირვებია ბ-ნ ქართველ ოფიცერს და ზემოხსენებული ჯგუფის გასამართლებლად ერთი უცნაური საბუთი მოჰყავს: იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ოფიცერი იძულებული ჰხდებოდა ჯარის კაცისათვის „ტავარიშჩი“ ეწოდებიაო. გარწმუნებთ, ბ-ნო ქართველო ოფიცერო, რომ ეს გარემოება დისციპლინას ვერ დაარღვევდა. როდესაც ოფიცერთა უდისციპლინობაზე ვსწერდი, მხედველობაში მყავდა ისეთი ოფიცრები, რომელნიც, სწორედ პოლიტიკანურის ჟინით, დისციპლინას არღვევდნენ და ხშირად საუკეთესო პოლკის უფროსებსაც კი თავზე წამოასკუპტებოდნენ ხოლმე. დისციპლინის დარღვევის ასეთს მაგალითს ძალიან ხშირად სალდათებს თითონ ოფიცრები აძლევდნენ ხოლმე. რაიცა შეეხება ეხლანდელ ოფიცრობას, ფორმალურად იგი თითქოს იცავს რეგულიარული ჯარის მოთხოვნილებას დისციპლინის შესახებ, მაგრამ დიდი ნაწილი ოფიცრებისა ისეთი სულიერი განწყობილებითაა გაჟღენთილი საქართველოს მთავრობისადმი, რომ იგი რეგულიარული ჯარის შექმნის საქმისთვის ვერ გამოდგება.

საქართველოს გადასარჩენად საჭიროა არა მარტო ფორმალური, არამედ რეალური კონტაქტი მთავრობასა და ჯარს შორის. ამ კონტაქტს კი მხოლოდ განახლებული და ახალს ტრადიციებზე აღზრდილი ოფიცრობა მოგვცემს.

აი ამ ორ დებულებასა აქვს მნიშვნელობა და ჩვენც მხოლოდ მას მივაქციეთ ყურადღება. დანარჩენ საკითხებს კი პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ ცოტა ხანს მათზედაც შევჩერდებით.

სამხედრო უწყებას თითქმის არავითარი ზომები არ მიუღია, აქამდის და მოთხოვნილებაც იმიტომ წარადგინესო. ბ-ნი ქართველი ოფიცერი ალბად კარგად არ იცნობს ამ მოთხოვნილების წარდგენის ისტორიას, თორემ ამ საკითხს სრულიად არ შეეხებოდა.

ოფიცრების იმ ჯგუფმა, რომელმაც გადასწყვიტა მოთხოვნილების წარდგენა. ძალიან კარგად იცოდა, რომ ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისია ენერგიულად მუშაობდა ჯარის რეორგანიზაციის საკითხზე და სულ მოკლე ხანში სათანადო კანონებიც უნდა გამოსულიყო. მიუხედავად ამისა, მოთხოვნილება მაინც დაიბადა და სწორედ ამიტომაც ამას „კუქის“ კი არა, დემონსტრაციის ხასიათი მიეცა. და რომ ჩვენში არიან ისეთი ოფიცრები, რომლებიც სიამოვნებით მოახდენენ დემონსტრაციას ეხლანდელი მთავრობის წინააღმდეგ, ეს საიდუმლოება, ალბად, ბ-ნი ქართველი ოფიცრისთვისა ყოფილა. არის მიზეზები, რომელთა წყალობითაც ამ საგანზე მე უფრო დაწვრილებით წერა საჭიროდ არ მიმაჩნია. მაგრამ ერთს კი ვიტყვი, ჩვენს ოფიცრობაში არის ისეთი ელემენტი, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში, ვერც თავისი აღზრდით, ვერც თავისი გონებრივი, ინტელექტუალური განვითარებით დღევანდელ წეს-წყობილებას ვერ შეურიგდება. დღეს ასეთი ნაწილი ოფიცრობისა იქნება გაჩუმებულია, მაგრამ სამაგიეროდ მათს საქმიანობას აკლია ის სითბო, რომელიც უნდა ღვიოდეს ყოველი კეთილშობილი მამულიშვილის გულში.

მათი შეგნება დახავსებულ კასტიურ ტრადიციებზე შორს ვერ მიდის, ჩვენ გვინდა, რომ რუსეთის მიერ ნაანდერძევი და თვითმპყრობელობის არტახებში გამოშუშული კასტიური ფსიქიკა ქართველი ოფიცერის სულიდან ამოიფხვრას.

დასასრულ ბ-ნი ქართველი ოფიცერი შემდეგს სამს კითხვას მიყენებს: 1) არის თუ არა ქართველი ოფიცრობა საჭირო და სანდო ელემენტი; 2) სამართლიანია მათი მოთხოვნილება და საჭიროა მათი დაკმაყოფილება თუ არა და 3) საჭიროა თუ არა ოფიცრობაც სარგებლობდეს მოქალაქობრივი უფლებებით?

მეც მუხლ-მუხლობრივ გავცემ პასუხს:

1. ოფიცრობა საჭიროა. საზოგადოდ ოფიცრობა კონტრ-რევოლიუციონური არ არის, სანდოა; მაგრამ ოფიცრობაში ურევია ელემენტი, რომელიც, თავისი ინტელექტუალური უკან-ჩამორჩენილობის გამო, ვერ ეთვისება ეხლანდელ დემოკრატიულ წეს-წყობილებას. ასეთი ელემენტებისაგან ოფიცრობა უნდა გაიწმინდოს.

2. ოფიცერთა და საზოგადოდ ჯარის მდგომარეობის გაუმჯობესება აუცილებლად საჭიროა და ამას უდიდესი ყურადღება მიაქცია უპირველესად ყოვლისა თვით ეროვნულმა საბჭომ და მთავრობამ.

3. რაიცა შეეხება მოქალაქობრივ უფლებებს, ეს კონსტიტუციის საკითხია. ჩემს წერილში ამას სრულიადაც არ შევხებივარ.

მე ვსთქვი მხოლოდ ის, რომ ჯარი, როგორც მთლიანი ორგანიზაცია და ოფიცრობა, როგორც განუყოფელი ნაწილი ამ ორგანიზაციისა, პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს. ოფიცერს კიდეც რომ ჰქონდეს საარჩევნო უფლება, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ მას შეუძლიან ჯარი თავისი პოლიტიკის იარაღად გაიხადოს დიდის ან მცირე მასშტაბით.

ბ-ნი ქართველი ოფიცერის დანარჩენ შენიშვნებს პრიციპიალური მნიშვნელობა არა აქვთ და ამიტომ ჩვენც უყურადღებოდ ვსტოვებთ.

არ. ჯაჯანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბავი

◆ **ოსმალეთის წარმომადგენელნი.** ამ დღეებში ტფილისში მოელიან ოსმალეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს აბდულ-ქერიმ-ფაშას თავის ამალით. მასთან ერთად ჩამოვა აგრეთვე მამედ-ალი ფაშა, რომელიც დანიშნულია ოსმალეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად. მათ ჩამოსასვლელად მატარებელი უკვე გაიგზავნა.

◆ **ქართველ ახალგაზრდათა გერმანიაში გამგზავრება.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა გერმანიის საიმპერატორო მისიის წინაშე, რათა ნება მიეცეს 150 ქართველ სტუდენტს გერმანიაში გამგზავრებისა სწავლა-განათლების მისაღებად.

◆ **დანიშვნა.** ტფილისის მეშვიდე სახელმწიფო ქართულ გიმნაზიის (ყოფილი ქართული სათავად აზნაურო გიმნაზია) დირექტორად დაინიშნა ტფილისის პირველ გიმნაზიის მასწავლებელი ნ. ნ. ჩიგოგიძე და ინსპექტორად—სეით ლუარსაბის ძე იაშვილი.

— იუსტიციის მინისტრის ბრძანებით სოხუმის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი კონსტ. მიხ. შნეიდერი მისი პირადი თხოვნის თანახმად ტფ. სასამართლო პალატის წევრად დაინიშნა.

◆ **შუამდგომლობა.** ქუთაისიდან ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოს მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მოსამსახურეთა დელეგატი ივ. ფხაკაძე, რომელსაც დავალებული აქვს შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ დასავლეთ საქართველოში მოსამსახურეთა ეკონომიურ გაჭირვებისა გამო ჯამაგირების გადიდების გარდა სხვა რაიმე საშუალებასაც მიმართოს მთავრობამ მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

◆ **სასამართლონი და საგამომძიებლოები.** იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პროექტის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამოსამართლო და საგანგებო გამომძიებელთა შემდეგი რიცხვია განზრახული ტფილისში საგანგებო გამომძიებელი 2, ქუთაისში—1, სოხუმში, უბნის გამომძიებელი: ტფილისში—12, ტფილისის გუბერნიის დანარჩენ ადგილებში 18, ქუთაისში 4, ფოთში—3 ქუთაისის გუბერნიის დანარჩენ ადგილებში 18, სოხუმში—2, სოხუმის ოლქის დანარჩენ ადგილებში—4, გამომძიებელთა თარჯიმანები 64, გზირები—64. მათი შესანახი ხარჯი წლიურად ნავარაუდევია 1201600 მანეთი.

◆ **მუზეუმები და სამეცნიერო დაწესებულებანი**, დღეს, აგვისტოს 31-ს ქართულ მუზეუმში, პროფესორ მელიქიშვილის თავმჯდომარეობით შესდგება სხდომა რომელზედაც მოწვეულნი არიან ყველა სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სწავლულნი—საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეცნიერო და საარქეოლოგიო დაწესებულებათა ბედის გამოსარკვევად.

◆ **რაჭველ-ლეჩხუმელთა კრება.** კვირას დილის 10 საათზე სოციალისტ-ფედერალისტთა კლუბში (ძველი სემიარიის შენობა, ლორის-მელიქოვის ქ. № 1) გაიმართება რაჭველ-ლეჩხუმელთა კრება დამხმარე საზოგადოების დასაარსებლად. საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს ყველას, ვინც ამ საქმეს თანაუგრძნობს—აუცილებლად მობრძანდეს.

◆ **მასწავლებელთა დანიშვნა.** ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობამ წარსულ სამშაბათის კრებაზე, დაადგინა დაინიშნონ მასწავლებელნი ამ საზოგადოების სკოლების შემდეგ ადგილებში: ვარიანის სკოლის მასწავლებლად მიხეილ ე. ჩიქვინიძე, ატენის—ლევ. ბერიძე, ყალამშიის ალექსანდრე წითლანაძე, გომარეთის—ანნა ჩხეიძე, ბორბალოსი—მარიამ აბდუშელიშვილი, აკაურთის—ქეთევან ჭინჭველაშვილი და წერაქვის სკოლაში—მარიამ ღიბრაძე.

◆ **ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებაში.** წ. კ. საზოგადოების გამგეობის კრებამ დაადგინა, ეთხოვოს სახალხო განათლების სამინისტროს, მომავალ იანვრიდან 40000 მანეთი გადასდოს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლების შესანახად.

◆ **ყრილობა.** დღეს აგვისტოს 31-ს მუშათა კლუბში, მიხეილის პრ. № 65 გაიხსნება ამიერკავკასიის კოოპერატივებში მოსამსახურეთა ყრილობა.

◆ **ქურდობა.** აგვისტოს 25-ს ღამით ბოროტმოქმედებმა კარაპეტიანცის მაღაზიიდან წაიღეს 8 ათასი მანეთის სხვა და სხვა საქონელი.

◆ აგვისტოს 26-ს, ელისაბედის ქუჩაზე № 90, ერზიკიანის ბინიდან ბოროტმოქმედებმა 3,150 მანეთის ნივთები წაიღეს.

◆ **კავკავიდან ჩამოსულმა გრ. ბერდულმა გადმოგვცა.** რომ კავკავში ფინანსთა მინისტრად დაუნიშნავთ ფილიპე მახარაძე.

◆ **ჰიმნთა შეჯიბრება.** კვირას სექტემბრის 1-ს, ქართულ კლუბში შესდგება ჰიმნთა შეჯიბრება, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება 10 ჰიმნი სხვა და სხვა ქართულ კომპოზიტორისა. ჰიმნებს შეასრულებს ქართველთა სამხედრო კავშირის გაძლიერებული გუნდი ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით.

◆ **სახალხო რაზმის** წევრმა ელენტის მოხსენება წაიკითხა „ცარსკოე კოლოდცი"-ს ქონების შესახებ. სახალხო რაზმი ყოველივე ღონის ძიებას ხმარობს ამ ქონების გამოსატანად.

◆ **დატუსაღება.** მილიციის უფროსის დადგენილებით დაატუსაღეს მეორე კომისარიატის კომისარის თანაშემწე ბ. მჭედლიძე სახაზინო ფულის მითვისებისათვის.

— აგვისტოს 29-ს მილიციელებმა სადგურზე დაატუსაღეს ციხიდან გამოქცეული ყალბი ფულის მკეთებელი ი. ტოროლაშვილი.

◆ **ტფ. ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში** განმეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება სექტემბრის 20-ს (ახალ. სტ.). მასწავლებლები უნდა გამოცხადნენ სექტემბრის 15-ს

◆ **მთავარ შტაბმა დაადგინა:** 1) ეთხოვოს მიწათმოქმედების სამინისტროს მისცეს სახალხო რაზმს 100 ათასი ფუთი თივა ერთი წლის სახარჯოდ.

◆ **გიმნაზია მანგლისში.** მანგლისის საზოგადოების საორგანიზაციო კომისიას, სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო გახსნას მანგლისში ვაჟთა გიმნაზია, რეალური განყოფილებით

◆ **დონის მთავრობამ გაგზავნა ბერლინში** თავისი წარმომადგენელი გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

# სოფლად და ქალაქად

### ქართლი.

◆ გათავდა კალობა. მოსავალი რიგიანი იყო. გლეხმა ხორბალი გოდორში მოაქცია, ნაწილი კი ზუზე დაიტოვა და უცვლის ჩარჩებს ჭურჭელსა, ფართლეულობასა და საფენზე. ამდენი ჭია-ღუა და ჩარჩი-წურბელა სოფელს არა ჰხვევია. გლეხი ფულზე აღარ ჰყიდის ხორბალს, ფული ისედაც ბლომად აქვს სკივრის კუნჭულებში ჩაკეცილი და ვერც არაფერში გამოუყენებია. სამაგიეროდ წარბ გაშლილი ხვდება იმას, ვინც მარილს მიუტანს, ძაფს, საპონს, ნავთს, საფენს და სხვ. და ეს რომ გაუგიათ აკი კიდეც მისდებია ჩარჩ-ვაჭრობა კალოსავით. გულსატკენი უფრო ის არის, რომ სოფელს ისეთი ხალხი მისევია, რომელიც ჯამობითა და ჩანახობით აგროვებს ხორბალს სოფლად და მერმე, ალბად, ყრუ გზებით და მიხვეულ-მოხვეულით საქართველოს საზღვრებიდან გააპარებენ, და ეს მაშინ, როცა ჩვენს მთავრობას ჭირნახული ვერ შეუძენია ჩვენი გლეხობისაგან. ბლომად დადიან სოფლად ყარსიდან, ახალქალაქიდან და სხვ. გამოქცეული სომხები და ბერძნები, დააქვთ ქვაბები, ხალიჩა-ფარდაგი, არ ვიცი საიდან გამოცოცებული წითელ ჯვრიანი ვედროები და სხვ. და გლეხობაც სიამოვნებით იცვლის ჭურჭელსა და საფენს ხორბლეულობაზე კარგი იყო ამ გარემოებისათვის ვინმეს მიექცია ყურადღება, მაგრამ სად ვინ არის სოფლად ამაზე მზრუნავი? იქნება სხვა რამეც ბევრი ფუჩდებოდეს და ნიავდებოდეს, მაგრამ ვინ არის პატრონი! სოფელი უპასუხისმგებლო ხალხის, მელა-ჩარჩის და ბნელი ძალის სათარეშო მოედნად არის გადაქცეული.

◆ ათასგვარი სენი მოედო სოფელს. უპატრონობა, უექიმობა, უწამლობა უფრო საშინელ მომავლით იმუქრება. ხოლერა, სახადი, მუცელა ზეიმს ეპირება, უბედურება ეს არის, ამინდი ხელს უწყობს, ასეთი ჭინჭყლიანი ცვალებადი ზაფხული არავის ახსოვს. მთავრობის და საზოგადოების ვალია ძალიან ყურ-მახვილად და ერთგულად დაუდგეს ხალხის ჯანმრთელობას დარაჯად და ამ ათასგვარ სენს არ მისცეს შეძლება ფართედ გაშალოს ფრთები, თორემ თუ ზამთარში შეჰყვა ხალხს, თქვენი მტერი, რომ გაზაფხულზე ამბავი დატრიალდეს. სიკვდილის ზეიმს ველარ მოუღეწავს ბოლოს.

◆ გლეხობისათვის მიწის საკითხია უმწვავესი საკითხთაგანი. ეს არის, რომ საზრდოს აძლევს ათასგვარ ბნელ ძალას და ნოყიერ ნიადაგს უქმნის მხამის დასათესად და ჩვენი ქვეყნის თავისუფლების ძირის გამოსათხრელად. გლეხობა ელის, ელის მიწის საკითხის მოგვარებას, მაგრამ მის ლოდინს ვერ მოეღო ბოლო. მიწის კომისიები ჯერ ყველგან არა მუშაობს, ზოგან სოფელი ღატაკია და ჩამოსართმევი მამული კი ახლო-მახლოს არ არის. ერთ ალაგას ელის გლეხი მიწას, მეორეგან უიმედოდ ჩაუქინდრია თავი და თან თავის მოძმეს შურით გაჰყურებს შორს. კარგი იყო მიწის საკითხის მოგვარება დაჩქარებულიყო. მაშინ იქნება შენელებულიყო იმ უკმაყოფილების და პროვოკაციის ცეცხლი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მოძულენი ჩვენს გლეხობაში თავისუფლად აღვივებენ

◆ ბევრია ამჟამად სოფლად ქურდი, ავაზაკი, პროვოკატორი, რომელნიც თავიანთ ბნელი მოღვაწეობით ძირს უთხრიან ჩვენს მთავრობას. მათ წინააღმდეგ უსასტიკესი ზომებია საჭირო, თორემ ლოიალობა გაღმა ვერ გაგვიყვანს. გლეხობაში ეს ლოიალობა უკმაყოფილებასაც იწვევს. დააპატიმრებენ ავაზაკს, პროვოკატორს და მესამე დღეს ისინი ისევ თავისუფლად დაბრძანდებიან. განა ამის მნახველი თამამად შეებრძოლება ავაზაკობას და ბნელ ძალებს? დროა, დროა სასტიკმა კანონმა დაილაპარაკოს..

# ეროვნულ საბჭოს წევრთა საყურადღებოდ

საბჭოს პრეზიდიუმი თხოვნით მიმართავს პარლამენტის წევრთ, რათა მათ ხელი შეუწყონ, დაჩქარებით მასალების მოწვდენით, საქვესტურო საწილის, პრეზიდიუმის მიერ მოწონებულ, განზრახვის განხორციელებას, რაიცა მდგომარეობს შემდეგში: საქვესტურო ნაწილს განზრახული აქვს ახლო მომავალში გამოსცეს ეროვნულ საბჭოს არსებულ შემადგენლობის სურათებით შევსებული „ცნობათა წიგნი". რისთვისაც აუცილებლად საჭიროა დაუყონებლივ წარმოდგენილ იქმნეს საბჭოს წევრთა მიერ შედგენილი მათი სრული ბიოგრაფია; სასურველია მათი ცხოვრების აწერილობაში პასუხ მიცემული იყოს ქვემოთ აღნიშნული კითხვები და ცალკე ქაღალდზე გადაწერილი იგი დაუბრუნდეს ეროვნულ საბჭოს ქვესტორს სერ. ჟორჟოლიანის.

ვინც ენკენისთვის 10-მდის არ წარმოადგენს ხსენებულ ცნობებს, „ცნობათა წიგნში" ისინი გამოტოვებული იქმნებიან, რაც დიდ დანაკლისად ჩაითვლება წიგნის სისრულისთვის.

1. სახელი, მამის სახელი და გვარი.
2. ეროვნება
3. პარტიული რწმენა
4. დრო და ადგილი დაბადებისა
5. პროფესია
6. სად და რა განათლება მიუღია წევრს
7. ტფილისის ადრესი
8. განვლილი ცხოვრების მთავარი ეტაპები: ძველ რეჟიმის დროს მოღვაწეობა, გადატანილი ადმინისტრატიული შევიწროებანი, საზოგადო ან სამეცნიერო შრომების აღნიშვნა, თანამდებობის ჩამოთვლა და სხვა.

ეროვნ. საბჭოს თავმჯდომარე: **ნ. ჩხეიძე**
ეროვნულ საბჭოს ქვესტორი: **სერ. ჟორჟოლიანი.**

# საჭირო განმარტება*)

„სახალხო ფურცლის" ერთ-ერთ უახლოეს ნომერში სხვათა შორის სწერია: „ეროვნულ საბჭოში არ აღმოჩნდა არც ერთი ბეცი და ჭკუა მოკლე პარტია, რომელსაც შესაძლოდ დაენახა რეგულიარული ჯარის შექმნის წინააღმდეგი წასულიყოვო", მაგრამ, ვიტყვით ჩვენ, მიუხედავად ამ გვარი ერთსულოვნობისა ჩვენში ჯარის შექმნის შესახებ უფრო მეტი იწერება, უფრო მეტ ლაპარაკს აქვს ადგილი, ვინემ საქმიანობას და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის რასაც ეხლა ჩვენ ჯარს ვეძახით —ჯარი არ არის. აქ ბევრ უწესობას და ცუდ ყოფა-ქცევას აქვს ადგილი, როგორც ოფიცერთა, ისე სალდათთა წრეებში. შესაძლებელია მთავრობა ბევრს მუშაობდეს ამ საკითხების მოგვარებისთვის, მაგრამ ფაქტიურად ჯარი უმწეო მდგომარეობაშია და შეუძლებელია ამას ანგარიში არ გაუწიონ იმათ, ვინც ყველაზე ახლოს სდგას ჯართან, ვისაც მართლადაც სწამს სამშობლოს მომავალი და მეტრფის მის კეთილ-დღეობას; ვისაც საღი გონება შერჩენია, მარტო ოცნებას არ აჰყოლია და ქარის წისქვილების აშენება და მათთან ბრძოლა არ დაუსახავს თავის მიზნად. და აი სწორედ ოფიცერთა ერთ ნაწილს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კეთილი სურვილი ამოქმედებდა და რომელთაც მაღალი პატრიოტული გრძნობით არის გამსჭვალული, დაებადათ აზრი თავის ვიწრო წრეში კერძო კრება გაემართათ და საჭირბოროტო კითხვებზე ჰქონოდათ მსჯელობა; ეს კითხვები შემდეგი იყო: ქართველი ოფიცრობა და მისი დანიშნულება; მათი გონებრივად და ზნეობრივად ამაღლების საჭიროება; ქართული ენის შესწავლა და კურსების დაარსება; დისციპლინის განმტკიცება; ოფიცრის მოვალეობა; ჯარში ყოფნის დროს პოლიტიკის გარეშე ყოფნა; ქართველ ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შექმნა; ჯარის კაცის და ოფიცრის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი ურთიერთ დამოკიდებულება.— აი მთლად ის საკითხები, რომელთაც თავის კერძო თათბირის დროს შეეხო ოფიცერთა ჯგუფი, შეეხო სერიოზულად, დინჯად და ხანგრძლივი აწონ-დაწონის შემდეგ სასურველად დაინახა ეს კერძოდ გამოთქმული აზრები უფრო ფართო კრებისთვას გაეზიარებინა; აირჩია ამისთვის რამოდენიმე ამხანაგი, გაგზავნა სამხედრო კავშირში, რომელიც ჯერ კიდევ ოფიციალურად არსებობდა და რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ჯარის ნაციონალიზაციის დაწყებას ჩვეხში, და სთხოვა მიელო თავზე ინიციატივა, გამოეთხოვა სამხედრო მინისტრისაგან ნებართვა მოეწვია ტფილისში მყოფ ნაწილების დელეგატები და სხვა.

ოფიცერთა ჯგუფი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ასეთ მათ ნაბიჯს ყველა წრეები თანაგრძნობით შეხვდებოდნენ და რომ ეს გზა, დელეგატების მოწვევის კანონიერი გზაა და რომ მათ, ისე როგორც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს ამის უფლება აქვთ.

მაგრამ, სამწუხაროდ, მმართველმა წრეებმა და, წარმოიდგინეთ, პრესამაც სულ სხვა გვარათ გაიგო და სულ სხვა სახელით მონათლა ოფიცრობის წრფელი სურვილები. მთავრობის მხრით, რაც ზნეობრივი სასჯელი მიიღო ოფიცრობამ არრას ვიტყვით, მხოლოდ მათი გული ძლიერ დაკოდა პრესის გამოლაშქრებამ, სადაც მათ ათასგვარ ცილსა სწამებენ და უდანაშაულოდ ბრალსა სდებენ.

„ვოზროჟდენიის" ერთ-ერთ ნომერში ვინმე ლესოვიკი სწერდა სხვათა შორის: „მთელმა ტფილისის გარნიზონის არტილერიის ოფიცრობამ ულტიმატიური ხასიათის მოთხოვნილება წაუყენა მთავრობას, არტილერიის ოფიცრობას მხარი დაუჭირა საინჟენერო ნაწილებმა, რომელმაც ამ დღეებში მოახდინა კრება და სხვა..." ამას, რამდენიმე დღის შემდეგ „სახალხო ფურცელში" მოყვა ბ. ჯაჯანაშვილის წერილი, რომელიც სარგებლობს უკომენტარიოდ „ვოზროჟდენიის" ცნობებს და უკიჟინებს ოფიცრობას პოლიტიკანობას, დისციპლინის დაუცველობას, არწმუნებს მკითხველს რომ ოფიცრობა ცუდად იქცევა, რომ მას მხოლოდ და მხოლოდ თავის ნივთიერი მდგომარეობა ეინტერესებაო, სამსახურის გარეთ დარჩენის შიში ალაპარაკებსო.

—მერე მართალია ასეთი ბრალდება? არა, ვამტკიცებთ ჩვენ. ის ჯგუფი (ჩვენ არტილერიის ოფიცრობაზე არას ვიტყვით, რადგან არ ვიცით იქ რა მოხდა) რომლის წრეში ზემოჩამოთვლილი საკითხები თავის-თავად დაიბადა, ეს ჯგუფი საინჟენერო ნაწილებისაგან არის; სადაც ოფიცერთა უმრავლესობა სწორედ „გაცხრილვის" შემდეგ არის დატოვებული და ცნობილია, როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად მაღლა მდგომი (ბევრია მათ შორის უმაღლესს სპეციალურ სასწავლებლებიდან) ეს ჯგუფი თამამად შეიძლება ოფიცრობის საუკეთესო ნაწილად ჩაითვალოს, რომელსაც კარგად შეუგნია თავისი მოვალეობა, რომელსაც სწყურია საქმიანობა, სწყურია ნაყოფიერი მუშაობა თავის ბეჩავ სამშობლოს და ხალხის საკეთილ-დღეოდ და ჯერ კიდევ ვერ გაუგია, შეიქნება ამისათვის შესაფერი პირობები ჯარში თუ არა. ამ სტრიქონების დამწერი თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის განაცხადოს, რომ ოფიცერთა შორის რაიმე პოლიტიკანობას, რაიმე ულტიმატუმის წამოყენებაზე ლაპარაკი არ ყოფილა. პირიქით, აფიცრობა მსჯელობის დროს ხაზს უსვამდა იმას, რომ კრების მოწვევა მაინც და მაინც ლეგალურად მომხდარიყო და მსჯელობას არავ თარი პოლიტიკური ხასიათი არ მისცემოდა. ჩვენ მეტსაც ვიტყვით: მიუხედავად თავის უმწეო ნივთიერი მდგომარეობისა ამ მდგომარეობას ოფიცრობა შეეხო, როგორც მეორე ხარისხოვან საკითხს. შეეხო მორცხვად და კრძალვით. არც ერთ ოფიცერს ხაზი არ გაუსვამს ამ საკითხისათვის. ეს ჯგუფი არც იმისთვის შეგროვილა, რომ ვისმესთვის მხარი დაეჭირა, როგორც ამას „ვოზროჟდენიე" სწერს. ის შეგროვდა თავის საკუთარის ინიციატივით და უნდოდა ეთქვა ის, რაც მისის აზრით, სარგებლობას მოუტანდა პირველ წოვლისა საზოგადო საქმეს, საქართველოს ბედნიერებას. ვის შესწევს სითამამე უკიჟინოს პოლიტიკანობა ან დისციპლინის დარღვევისადმი მიდრეკილება მათ, ვინც თავის მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ მუხლად ისახავს პოლიტიკის გარეშე დგომას და დისციპლინის განმტკიცებას.

—ამხილეთ, ბატონებო, ოფიცრობა, მხოლოდ ამხილეთ არა იმიტომ, რომ ისინი ოფიცრები არიან, გაჰკიცხეთ მათი მოქმედება. მხოლოდ სამართლიანად. ცილის წამებას და დამცირებას ნუ ექნება ადგილი იქ, სადაც დანაშაული არავის ჩაუდენია.

**არა ოფიცერი.**

*) რედაქცია სიამოვნებით ბეჭდავს ამ წერილს იმ გაუგებრობის გასაფანტავად, რომელიც „ვოზროჟდენიის" წერილმა გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში ოფიცერთა ერთი ჯგუფის შესახებ.

**რედ.**

# ახირებული პრეტენზიები

საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობა ბევრს უცხოელს არ უნდა; პირიქით, დამცინავი კილოთიც კი იხსენიებენ ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს. უმადური ცხოველივით სურთ ძირი გამოუთხარონ იმ მუხას, რომლის ნაყოფითაც თვითონვე იკვებებიან. იშვიათად იპოვით უცხო ტომელს, რომელსაც მიეღოს ჩვენი რესპუბლიკის ქვეშევრდომობა. რუსები არ კადრულობენ: ჩვენ მპყრობელი ერი ვიყავითო. ავიწყდებათ, რომ იმათი მპყრობელობა „დრომ წაიღო და ჩაყლაპა". სომხები დაშნაკელ-ნაციონალისტთა ქადაგების ზეგავლენით სომხეთის შექმნას სცდილობენ საქართველოს ტერიტორიაზე და აბა ჩვენს ქვეშევრდომობას როგორ მიიღებენ? სხვა წვრილი ერები კიდევ მეძროვეობას ეწევიან და უყურებენ, საიდან დაჰბეროს სიომ, რომ იქით გადიხარონ. და იმ დროს, როცა ერთი მუჭა შეგნებული ქართველობისა სისხლისაგან იცლება, რომ დაიცვას საქართველოს არსებობა გარეშე და შინაური მტრებისგან, ამ უცხო ტომელთა კეთილდღეობა უზრუნველყოფილია, ცა ქუდად არ მიაჩნიათ, დედა-მიწა ქალამნად". თავიდან თმის ბეწვი არ უვარდებათ, სახელმწიფოსთვის კაპიკი არ ეხარჯებათ, არიან თავისთვის და აკეთებენ ხშირად ჩვენს დამღუპველ საქმეს, წყალს ამღვრევენ, რომ თევზი უკეთ დაიჭირონ, ჩვენი საწყალი ხალხი უფრო მოატყუონ და ხელი აალებინონ თავისუფლებაზე, დაამარხვიონ მოპოვებული საუნჯე. ეს ითქმის უცხო ტომელთა დიდ-უმრავლესობაზე, გამონაკლისები სამწუხაროდ, იშვიათია.

თავის დღეში არ მქონია სიძულვილი უცხო ხალხისადმი, მაგრამ დღეს ვშფოთდები გულის სიღრმემდე, როცა ვხედავ, რომ ჩვენში შემოხიზნულ უცხოელებს პრეტენზიები დიდი აქვსთ ჩვენ შინაურ ცხოვრებაში ჩარევაზე, უფლებრივ გათანასწორებას მოითხოვენ საქართველოს ქვეშევრდომებთან. მოითხოვენ მთავრობამ იმათ სასწავლებელი გაუღოს იმ დროს, როცა არ სცნობენ საქართველოს მთავრობას, ფული არ შეაქვსთ ჩვენს ხაზინაში, არ გამოდიან ჩვენს ჯარში სახელმწიფოს დასაცავად, ისინი ყოველდღე ჭკუას ასწავლიან ჩვენს მთავრობას, ვერ იქცევი ჯეროვანად, ინტერნაციონალისტობას ვერ იჩენ, ჩვენ გვავიწროვებთო და სხვა. ახირებულია, ღმერთმანი: თუ უცხოელები სტუმრები არიან ჩვენი, სტუმრებზე ქართველებს ბრძნული ანდაზა გვაქვს: „დილას ოქრო ხარ სტუმარო, სალამოს ვერცხლად იქცევი, თუ ხანი დაგიგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი"-ო. ვინც ჩვენ ოჯახში სამუდამოდ რჩება, ის სტუმრის პრივილეგიებით ვერ ისარგებლებს, იმან უნდა იმუშაოს ოჯახში, სწიოს ბეგარა ოჯახის სხვა წევრებთან; შეიძლება, მაშინ ისარგებლოს ოჯახის ნამდვილ წევრთა უფლებებით, თორემ დღევანდელ ჩვენს უცხო მტერ-მოყვრეებს თვალი გაფრენაზე უჭირავთ, მაგრამ ჯერ უცდიან, იქნება დაემხოს საქართველო, რომ აღარ დასჭირდეთ გასვლა და თან კი მოთხოვნილებებს გვიყენებენ, მკვიდრთა უფლებები მოგვანიჭეთო! ეს იმას ნიშნავს: შენც არ მიმაჩნიხარ, არც საქართველო მწამს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც შეკადრება მისი ქვეშევრდომობა, მაგრამ მაგრამ მაინც ვალდებული ხარ მასვა-მაჭამო, ჩამაცვა-დამახურო, მომიარო და მიპატრონო!..

დავასახელებ რამდენიმე მაგალითს: ტფილისის ერთ-ერთ გიმნაზიაში ორმოც მასწავლებელში, სამს გარდა, ყველას უარი უთქვამს საქართველოს ქვეშევრდომობაზე, ჩვენი მთავრობა კი იძულებულია ჯერ-ჯერობით მაინც იმათ ჯამაგირი აძლიოს. ტფილისში არსებობს საოსტატო ინსტიტუტი, რომელიც უმაღლეს ტიპის პედაგიურ სასწავლებლად გადუკეთებიათ, იქ შეგროვილი ყოფილა ჭრელი გვარ ტომობის ხალხი, როგორც ეს საზოგადოდ სემინარია-ინსტიტუტს სჩვევიათ; რუსი, ბერძენი, სომეხი, აისორი და სხვ. არც ამ მოწაფე-სტუდენტებს უნებებიათ ჩვენი რესპუბლიკის ქვეშევრდომობა, ისე კი სამინისტროს კარებზე ტალახს აყენებენ, რომ სასწავლებელი მთავრობამ შეინახოს და ამ ვაჟბატონებმა შიგ ისწავლონ. სამწუხარო ის არის, რომ ეს ხალხი საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულა, აქ აღზრდილა ის სხვისკენ იყურება, ჩვენგან კი დახმარებას მოითხოვს!..

ასეთი ფაქტებით სავსეა ჩვენი ცხოვრება ყოველ დარგში უკიდურესად გაჭირვებული ჩვენი ხაზინა იძულებულია აკმაყოფილოს გაუმაძღარი მადა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის მტრებისა. სოციალიზმის და დემოკრატიზმის სახელით ჩვენგან ითხოვენ ყველაფერს და არ იმეტებენ არაფერს. სოციალისტობა ის კი არ არის, მე ვიმუშაო და შენ სჭამო არა, ორივემ უნდა ვჭიმოთ საერთო ჭაპანი სახელმწიფოს წინაშე და ჩვენი შრომის მიხედვით და მოთხოვნილების თანახმად დავკმაყოფილდეთ, უკეთესი სოციალიზმი თუ ბოლშევიკებს აქვსთ რუსეთში, ან დაშნაკლებს ერევანში, იქ მიბრძანდნენ და გაიბედნიერონ თავი!

ჩვენს მთავრობას კი, როგორც ერთგული მოქალაქე, ვურჩევ: ქვეშევრდომობის კანონი მალე გაატაროს ცხოვრებაში, უფლება-უპირატესობანი მკვიდრთა გამოაქვეყნოს, და აგრეთვე მოვალეობანი უცხო ტომელთა სახელმწიფოს წინაშე, რომელთა შესრულებაც აუცილებლად სავალდებულო იქნება იმათთვის, თუ ისურვებენ რაიმე მოქალაქობრივი უფლებებით ისარგებლონ საქართველოში.

ს. აბულაძე.

## როგორ უწყობენ ხელს სოფლის სამკითხველოს?

დღეს სოფელს ბევრი შემონატრის იმ მხრივ, რომ სოფლელებს სანოვაგე არ აკლიათ, სოფლელები გაცილებით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე ქალაქის მცხოვრებლებიო.

დიახ, ეს ასეა თუ ჩვენ მატერიალურის თვალსაზრისით შევხედავთ, მაგრამ, სამწუხაროდ აქ, სოფლად სულიერი საზრდო ხალხს ნაკლებად მოეპოება, ან და თითქმის სრულებით არა.

ზოგიერთ სოფლებში სამკითხველოები რომ არსებობდა, დღეს მიკეტეს, ზოგან, ჩვენდა სასირცხვილოდ სამკითხველოს შენობაში სამიკიტნოები გახსნეს.

ყველა ამაში ბრალი სდევს, რასაკვირველია სოფლის ინტელიგენციას. სოფელ ალში, მაგალითად, წრეულს გაიხსნა სამკითხველო, ხალხშიც წიგნების და გაზეთების წაკითხვის სურვილი ეტყობა. მაგრამ ჩვენი გაზეთების უშნო მსვლელობამ ლამის ხალხი სულ შემოფანტოს სამკითხველოს.

სად. გომში მოვა ჩვენი გაზეთები, იქ დახვდებიან იქაური „ინტელიგენტები" (თუ შეგვიძლია მათ ასე უწოდოთ) მიაქვთ თვითონ წასაკითხავად და სოფლად კი აღარ მოდის გაზეთები.

უმთავრესი ბრალი ამაში, რომ გაზეთებს იტაცებენ, ედება მათ, ვინც ფოსტას არჩევს.

ჩვენ ვეკითხებით მათ: აქვთ თუ არა ზნეობრივი ან იურიდიული უფლება, რომ ჩვენი სამკითხველოს გაზეთებს ხნვას აძლევენ!? ნუ თუ ასე უნდა სოფლის დახმარება!?

ზოგჯერ რედაქცია სოფლის სამკითხველოს გაზეთებს უფასოდ უთმობს და სადგურზე კი ვინც მოხვდებათ გაზეთებს მათ ატანენ!

სადგურ გომის ერთ-ერთ მოსამსახურეს, რომ შევეკითხეთ, რა უყავით ჩვენი სამკითხველოს გაზეთებიო; ასე გვიპასუხა: „სხვამ ითხოვა და მივეცი". თავის თავს ეს პიროვნება კი სახალხო მოღვაწეს უწოდებს.

ჩვენ მივმართეთ სად. გომის უფროსის თანაშემწეს პირადად, წერილობით მაგრამ, ამაოდ. და ახლა იძულებული გავხდით გამოგვექვეყნებინა გაზეთში და გაზეთის შემწეობითაც გაგვეფრთხილებინა.

ვიშეორებ, სამკითხველოში მოდის ხალხი და სულიერი საზრდო არ ხვდება. ისე, რომ აქაც და ბოლოს სულ შემოგვეფანტება ხალხი და ჩვენდა სასარცხვილოდ იძულებული ვიქნებით მივკეტოთ სამკითხველო, თორემ მარტო წიგნები არ კმარა, ხალხს გაზეთი უფრო ეინტერესება.

და ბოლოს ვთხოვთ ყველა სადგურის უფროსებს და კერძოდ სად. გომისას, ყურადღება მიაქციონ ასეთ შემთხვევებს და სოფელს არ მოაკლონ სულიერი საზრდო.

ლ. გელიაშვილი.

## შთაბეჭდილებათა სამეფოში

ბევრნაირია, მკითხველო, შთაბეჭდილება. არის ისეთი, რომელიც შესაძლებელია ღრმად განიცადო, მაგრამ კვალი არ დასტოვოს მეხსიერებაში. არის ისეთიც, რომელიც იპყრობს გონებას, ხანგრძლივად იფლობს მას, მაგრამ ის შთაბეჭდილება, რომელზედაც მე მინდა გესაუბრო, სულ სხვაა. იგი იმდენად მძლავრია, ისეთი გრძნობებით შეზოჭვილი, რომ ერთი წამითაც არ განებებს თავს. დასვენების ჟამს, ან თუ საქმით გართულს ის მუდამ თან გსდევსთ და ულრმესი სიამოვნებით გივსებსთ გულს.

მე განვიცადე ასეთი შთაბეჭდილება, ის იყო გამოწვეული კაკი წერეთლის ლექციით და პირადი მისი გაცნობით.

მის ლექციაში არ ისმოდა ლამაზლამაზი მომხიბვლელი და გრძნობაზედ აგებული სიტყვები. უბრალო, ყველასათვის მისაწდომი ენით გადმოგვცემდა იგი რევოლიუციის მსვლელობის ამბავს და მაზედ დამოკიდებულ ჩვენ მდგომარეობას არკვევდა. ერთსადა იმავე დროს იგი იყო უბრალო, დიადიც, უხმაურო მტკიცე და მძლავრად ბეჯითი. გამოჩენილი ორატორიც თავის ათვალ-მარჯალიტებული სიტყვებით დაუთმობს მას ადგილს.

რამდენად მისი სიტყვა ძლიერია, იმდენადვე ძლიერი და მომხიბლავია მისი პიროვნება—სადა, უბრალო წყნარი, თავაზიანი, რომლის ყოველ მოძრაობას კეთილშობილების დაღი ასვია. მან საკუთარი ბედნიერება საერთოს შესწირა, მუდამ სხვისთვის ზრუნავს, სხვისთვის იტანჯვის, მისი მოქანცული, აზრიანი თვალები თანაგრძნობას იწვევს თქვენში და გსურსთ რითიმე შეუმსუბუქოთ ეს მძიმე ტვირთი.

აი სურათი კაკი წერეთლის და ის შთაბეჭდილება, რომელსაც ის იწვევს თავის მსმენელში. შეუნარჩუნოთ მისი სიცოცხლე განთავისუფლებულ სამშობლოს, ვისთვისაც ის დაუღალავად იღწვის, რათა კიდევ დიდ ხანს გრძნობდეს ამ სითბოს, მისი ღირსეული შვილი თავის გარშემო რომ აღვივებს და რათა არა ერთხელ განეცადოს სიამოვნება მის მიერ გამოწვეულ შთაბეჭდილებით. ჩემ შთაბეჭდილებათა შორის იგი არა ჩვეულებრივია—მძლავრად შეიჭრა ჩემ გონებაში და აღმოუფხვრელი კვალი დასტოვა.

ჩემ მოგონებათა შორის ის საუკეთესო წუთებს შეადგენს. და როდესაც ქართველის გონება მრავლად დაიტვირთება ასეთი პიროვნების მიერ გამოწვეულ შთაბეჭდილებით, მას სიამაყით შეუძლია სთქვას—მე ქართველი ვარო!

ბევრნაირია შთაბეჭდილება, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილების სამეფოში თქვენთან ერთად სიამოვნებით შევსცურავდი!

თეოდოსია ჯაფარიძისა.

## მასწავლებელთა და მთავრობის საყურადღებოდ

როგორც ვიცით, წარსული წლის ბოლოს ამიერკავკასიის კომისარიატმა სალვთო სჯულის სწავლების შესახებ განკარგულება მოახდინა; მან თავის მხრივ სავალდებულოდ არა სცნო ამ საგნის სწავლება და დაადგინა: თუ მოწაფეთა წლოვანობა 14 წელს არ აღემატება, მათმა მშობლებმა გადასწყვიტონ—ისწავლონ თუ არა მათმა შვილებმა ეს საგანი; 14 წელს ზევით კი თვითონ მოწაფეების სურვილზეა დამოკიდებული ამ საკითხის გადაწყვეტა. მასწავლებელთა კრებამ ქ. ქუთაისში ამ წლის თებერვლის 2-4 გამოიტანა რეზოლიუცია განიდევნოს ეს საგანი სკოლიდან და ამისათვის გადადებული ფული სკოლის საჭიროებას მოხმარდეს. ამ დადგენილების ცხოვრებაში განხორციელება, სხვა რეზოლიუციებთან ერთად, დაევალოს მასწავლებლებს. არას ვიტყვი იმის შესახებ, თუ მასწავლებლებმა როგორ შევასრულეთ ჩვენი დადგენილება და რა როლს თამაშობს საზოგადოდ ცხოვრებაში ხატრიჯან-მატრიჯანობა, მაგრამ ის კი უნდა ვიკითხო, — რამდენად სამართლიანად და როდემდე უნდა გაგრძელდეს სალვთო სჯულის სწავლების შესახებ ეს გამოურკვეველი მდგომარეობა: სადაც მშობლებმა თუ მოწაფეებმა განაცხადეს, არ გვსურს ამ საგნის სწავლაო, და სწავლებაც მართლა შესწყდა სასწავლო წლის დამლევამდე, იქ უკან უნდა წავაღებინოთ ეს სურვილი და განვაახლოთ სწავლება თუ არა? ნუ თუ შეეფერება სად პედაგოგიურ მოთხოვნას ძალის ძალად მოვახვიოთ თავზე შედარებით განვითარებულ და მოზრდილ მოწაფეებს ის, რაც მათ არა სურთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა პედაგოგთა დიდ უმრავლესობას დიდი ხანია, რაც ამ საგანზე შეურყეველი, განსაზღვრული შეხედულება აქვს? თუ ამ შემთხვევაში ეს „მოუშორებელია", მაშინ ანგარიში გავუწიოთ მაინც ამ გარემოებას: შარშანწინ სალვთო სჯულის მხოლოდ ორი გაკვეთილი იყო კვირაში; შარშან კი, თანახმად მასწავლებელთა კრების მიერ მიღებულ გაკვეთილების ცხრილისა, მხოლოდ 1 გაკვეთილი კვირაში, ჯილდოს სალ. სჯულის მასწავლებელს ისევ ის დარჩა, რაც წინეთ იყო და მასზევე გავრცელდა წელს 3 მარტის კანონიც.

რა მოსაზრებით შეიძლება გავამართლოთ ის დებულება, რომ ერთი მასწავლებელი კვირაში 20-27 გაკვეთილში იღებს იმდენსავე, რამდენსაც მეორე 1 გაკვეთილში? ვთქვათ ბევრი გვაქვს ფული, მაგრამ ის ხომ უტყუარი და უსაცილოა, რომ საშრომელი შრომის და მიხედვით უნდა იყოს განაწილებული.

ტ. თაბუკაშვილი.

## ვის ხელშია აკაკის პოემა „რაჭა-ლეჩხუმი"?

როგორც ვიცით, ჩვენმა საყვარელმა მგოსანმა აკაკიმ რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს შემდეგ შესანიშნავი სახელო პოემა დასწერა, სახელწოდებით „რაჭა-ლეჩხუმი" რომლის მოკლე შესავალი გაზ. „თემში" ლექსადვე დაიბეჭდა. ამასთანავე პოემის გამოსაცემად ხელის მოწერაც გაიმართა და ალბად ფულიც შეგროვდა. მაგრამ, პოემა დღემდის არსადა სჩანს. ასე გასინჯეთ, ვის ხელში იმყოფება ეს ძვირფასი ნაწარმოები ჩვენმა ფართე საზოგადოებამ ისიც კი არ იცის და ასეთ შემთხვევაში ძალიან ადვილი შესაძლებელია, ისიც ისე დაიკარგოს, როგორც სხვა მრავალი ქართული ნაწერები დაკარგულა ამა თუ იმ ნიჭიერ მწერლისა.

ამიტომ მოვითხოვ როგორც ქართველი და მასთან რაჭველი, რადგანაც იგი განსაკუთრებით რაჭაზე არის დაწერილი, დაუყონებლივ გადმოგვეცეს იგი გამოსაცემად ტფილისში ამ ჟამად არსებულ „რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კულტურულ-ეკონომიურ საზოგადოებას" და ასე ამნაირად ხალხს თავის დროზე მივაწვდით მას, რის მიწვდენა და ახსნა მგოსანს თავისვე სიცოცხლეშივე ესურდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არც ეს და აღარც სხვა რამ აღარ აცალა.

მონდობილობით ევგენი დვალი.

## ანგარიში

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობის მიერ გამართულ სეირნობისა.

1918 წლის ივნისის 29 ქალაქ სენაკის ბაღში ადგილობრივმა საზოგადოების განყოფილების გამგეობამ გამართა დიდი სახალხო სეირნობა თავისი ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად. სეირნობის ანგარიში შემდეგია: 1) კერძო შემოწირულებანი ფულად 591 მან. 5 კ., 2) ყულაბებით შეგროვილი 672 მ. 17 კ., 3) შესასვლელი ბილეთებიდან 2316 მ. 25 კ., 4) ჩაი და ბუფეტიდან 1478 მან. 35 კაპ., 5) ფოსტა და ყვავილებიდან 153 მან. 80 კაპ., 6) შემოწირული ნივთების ლატარიაში გათამაშებიდან 978 მ. 10 კ., 7) აუქციონიდან 209 მ., 8) ვაზშიდან 607 მან. და 9) სხვა და სხვა კულტურულ გასართობებიდან 422 მ. 50 კ. სულ 7323 მან 22 კ. გასავალი: 1) მუსიკას 700 მ. 2) ჩაი და ბუფეტის მასალებში 648 მ. 10 კ. 3) აფიშების დაბეჭვდაში 58 მ. 4) ვაზშის მოწყობაში 331 მ. 25 კ. 5) ბაღის მოწყობასა და განათებაში 245 მ. 15 კ. სულ 1,983 მ. 50 კ. მაშასადამე მთელი შემოსავალი იყო 7,323 მ. 22 კ. გასავალი იყო 1,983 მ, 50კ. დარჩა წმიდა შემოსავალი 5,339 მ. 72 კ.

საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა ღრმეს მადლობას უძღვნის როგორც შემომწირველთ აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და თავისი შრომით დახმარება აღმოუჩინეს მას სეირნობის გამართვაში.

ვსთხოვთ სხვა ქართულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ანგარიში.

გამგეობის თავმჯდომარე ოლღა ხოლუგარია.

მდივანი მღ გ. გამზარდია.

## ჩვენი ფოსტა

ჩხარი. მღ. ფანჩულიძეს. თქვენი განცხადება დაგვიანებით მივიღეთ და სამწუხაროდ ველარ დავბეჭდეთ.

გამომცემელი
სამხედ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.


**იყიდება**

საჩქაროდ ხახლი, 12 ოთახიანი აქვე იყიდება ბუფეტის შკაფი და წიგნების შკაფი (პატარა ზომის) და მდივანი. ავლაბარი, მარტყოფის ქ. № 22. 980

**ქუთაისში** მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან.
ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფო სამშობიარო განყოფილებით. დახაწოლი ავადმყოფს იღებენ ყოველ დროს. 848

**ექიმი** დ. ა. სალარიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. აჭენილის აუდიტორიის ახლო. 1290

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 19, 9 ფანარი. 1001

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**ექიმი** ა. ტუმანიშვილი იღებს ავადმყოფებს ვენერიულ, საშარდე და სახქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა ყოფ. ხამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 900

**ქუთაისში**
**ექიმი** ა. ძორაშვილი დაბრუნდა და განაახლა თვალის ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს., საღამოთი 5—6 ს. ძველი ტფილისის და ოლდენბურგის ქუჩების კუთხე. 851

**ექიმი** მ. ლ. შალამბერიძე იღებს სახებიდ და ხაშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მიხამართი ავჭალოვის ქ. № 7. 1027

**ექიმი** ი. ლ. ჯაფარიძე. შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1ა33

**ექიმი** ქსილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ვეიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმი** ლ. გ. ჯავახიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი** დ. შარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 3130

**ექიმი** მ. მუხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ... ...რლანოვის ქ. № 6.

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა, განაახლა მიღება ვენერიული, შარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფებისა. დილით 9—12 ს. და საღამო 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. ...რობით მხოლოდ დილით. მიხაილო... შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპ... № 8. 40...

**ექიმი** ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საზებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

**ექიმი** ქალი რ. ზ. ზიშლო-სახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით, დილას 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 14—74. 5087

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ექიმი** ი. ა. აბაძელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ 8—86 1270

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.**

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დოხნინისა**

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენაში და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ძველის კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და ... ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 822

**ექიმ ნაგახარდიანის კერძო სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606" და „914" 11—12 ს.

ს. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

გ. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

აგეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. აგეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი 1—2 ს. შინაგანი.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი. 1019

**დ. ი. ბეროზაშვილის**

8 კლასიანი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია მთავრობის სასწავლებელთა უფლებებით

(დიდუბე, გლდანის ქუჩაბანდი 15, გიმნაზიის შენობა)

გამოცდები დაიწყება სექტემბრის 1-დან, განმეორებითი გამოცდები სექტემბრის 10-დან. ხოლო სწავლა 20-დან (ახ. სტ.) მიიღებიან ახალი მოწაფეები საანბანო, უმცროს და უფროს განყოფილებებში, I, II, III, IV, V და VI კლასებში. კანცელარია ღიაა 9—2 ს. და საღამოს 6—8 ს. 922

**ს ა ს ა დ ი ლ ო**

გაიხსნება ისმაილის ქუჩაზე № 9.

(მოსკოვის ქ. კუთხესთან) კვირას სექტემბრის 1-ს. სადილი კეთდება სუფთად და კარგი სანოვაგით. სადილი 2 კერძით ღირს 6 მან. (უპუროდ) მსურველთ შეუძლიათ სადილი სახლშიაც წაიღონ. სადილი 2 ს 5 საათამდე. 628

**სადილი პურით** სლეპცოვის ქუჩაზე № 3, ბინა 12 (ოლგას ქუჩის დასაწყისი) იხსნება პატარა სასადილო კარგად მოწყობილ ოთახში, სადაც მიღებულია ზომები, რომ ყველაფერი რიგზე იყოს. სადილი იქნება უხვი, ნახევარ გირვანქა პურით წმინდა ერბოზე, პატარა საუზმით და ეღირება 12 მან. წრე, მზარეულიდან დაწყებული, შესდგება ინტელიგენტ ქალებისაგან. სადილის ზედმეტ მსურველთ განსაზღვრულ ფასად შეუძლიათ მოითხოვონ ყავა, ტკბილეული, ღვინო, კონიაკი და ლიკიორი, სადილის მსურველი უნდა ჩაეწეროს წინა დღითვე. გადასახადი არა ნაკლებ ერთი კვირისა წინდაწინვე. სასადილო გაიხსნება კვირას სექტემბრის 1. 918


ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა № 14